ნაციონალისტი

ოთხშაბათი ოქტომბრის 20 1920 წ. ნაციონალური და გარეული პოლიტიკის ორგანო. № 17 ფასი 10 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისამართი:
რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სასახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22

ხელის მოწერა:
წლის დამლევამდე—750 მან. (ფოსტით)
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი
მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტით 1 გვერდზე—20 მან. მ-4-გვერდზე—10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი—400 მან.

მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

„მ წ ყ ე მ ს ს“,

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან

მატყლის ადგილობრივად საფასურად,

მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მო...ა ე. ი. . . . . 10 პროც.
2) მეცხვარეს ამხანაგობა „წყემსის“ საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ... 45 პროც.
3) სახელმწიფოს მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ... 45 პროც.

შეგროვილი მატყლით პირველყოვლისა დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ-გარეთის ბაზარზე.

მომარაგების სამინისტრო.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ოქტომბრის 1-დან დაიწყო მოქმედება თბილისის სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიანთ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ თემებს და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს **საწყობიდან** მატყლის მისაღებად.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საქართ. მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა გაყიდვა კერძო პირთათვის აკრძალულია

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4.000 მან.
ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4.500 მან.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებული არიან ადგილობრივ გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გადიდებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიჰყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

მომარაგების სამინისტრო.

ნაციონალური პარტიის კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (ღვინობისთვის 10 ძვ. სტ.)

დღიური წესრიგი:

I. მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.
II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
III. ადგილობრივ მოხსენებანი (დელეგატებისა).
IV. საერობო და საპარლამენტო არჩევნების სამზადისი.
V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა.
VI. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100.

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელნიც დასახელებულ იქნებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ადგილები განაწილებულია მაზრებს შორის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ასზე—ერთი).

მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი

კონფერენციის სხდომები გაიმართება ქალაქის საბჭოს დარბაზში.

ეკლესია და მთავრობა.

ჩვენს მთავრობას, გარდაუწყვეტია მოკლე ხანში შეიტანოს დამფუძნებელ კრებას კანონი ეკლესიის გამოყოფისა; იუსტიციის სამინისტროს კანონთა გადამსინჯავ კომისიას უკვე შეუდგენია სათანადო კანონპროექტი.

თავისთავად, რასაკვირველია, სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა არ არის სადაო არც საზოგადოთ, და არც კერძოდ ჩვენთვის.

სადაოა მხოლოდ ის ფორმა, ის წესი რა წესითაც ჩვენი სოციალდემოკრატიული მთავრობა აპირობს ეკლესიის ჩამოშორებას.

ამ მხრივ იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტი ყოვლად მიუღებელია; იგი უფლებას ართმევს სისულიერო დაწესებულებათ შეიძინონ უძრავი ქონება საკუთრებად და ამას გარდა ართმევს მათ სახელმწიფოს სასარგებლოდ იმ უძრავ ქონებასაც, რომელიც ეხლა აქვთ; კანონპროექტი არ კმაყოფილდება ამით და ანგრევს ეკლესიას იმ საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევით, რომელსაც ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვს; ამას გარდა კანონ-პროექტი კრძალავს სასწავლებლებში სამღვთო სჯულის სწავლებას.

საკმარისია შევადაროთ ეს კანონპროექტი იმ კანონს, რომელიც დაწესებულია მაგალითად რევოლიუციონურ გერმანიის დამფუძნებელი კრების მიერ, რომ დავინახოთ, თუ როგორ უკიდურესობას იჩენენ ჩვენი სოციალ-დემოკრატები ეკლესიის საკითხში.

გერმანიის რესპუბლიკის კონსტიტუციით ეკლესიებს აქვს მინიჭებული უფლება იურიდიული პირისა, მაშასადამე უძრავი ქონების საკუთრებისაც; გერმანიის რესპუბლიკას არც ეკლესიის განძეულობა გაუძარცვავს და არც საღვთო სჯულის სწავლა აუკრძალავს სკოლებში.

ჩვენი სოციალ-დემოკრატები კი როგორც სჩანს, იმის მაგიერ რომ მიჰბაძონ გერმანიის რესპუბლიკას, რუსეთის სოვდეპიას ბაძავენ მაგრამ ამისი შედეგი იქნება მხოლოდ ის, რომ იმ უკმაყოფილებას რომელიც ისედაც საკმარისად დაგროვილია ქართველ ხალხში, მიემატება კიდევ ახალი დარგი უკმაყოფილებისა და ყველაფრის ამის შედეგი კი ბოლოს და ბოლოს ჩვენი მენშევიკებისათვისაც ისეთივე იქნება, როგორიც ბოლშევიკებისათვის არის მოსალოდნელი.

პრესსა.

პოლიციელი სტუდენტები.

გაზეთი „ბარრიკადი“ სწერს:

განათლების და შინაგან საქმეთა სამინისტროს პორტფელები, როგორც ვიცით ერთსა და იმავე პირს აბარია. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ქართველი სტუდენტების ერთი ნაწილი მსახურობენ განსაკუთრებულ რაზმში და სისხლის სამართლის მილიციაში. ეს ახალგაზრდები უმაღლეს განათლებასთან ერთად იძულებული არიან შეასრულონ კედიას და ფაჩულიას ბრძანებანი. ეს ფაქტი უსათუოდ საშინელია ნორმალურად მოწყობილ სახელმწიფოსათვის. ყველაზე უფრო სამარცხვინო ის არის, რომ ზოგი ცინკური მოხელე შინაგან საქმეთა სამინისტროსი, კიდევაც აქეზებს ჩვენ მოსწავლე ახალგაზრდობას განსაკუთრებულ რაზმში ჩასაწერათ.

ჩვენ ნამდვილათ გავიგეთ, რომ სტუდენტების გარდა ამ რაზმში და სისხ. სამ. მილიციაში უფროსი კლასის გიმნაზიელებიც კი მსახურობენ ფარულ აგენტებათ.

ჩვენი მოვალეობაა დაუყონებლივ ჩავერიოთ ჩვენი ახალგაზრდობის უბედურებაში. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მომავალი საქართველოს გადარჩენისათვის. ქართული უნივერსიტეტი დაღუპვის გზას ადგას და ამის უმთავრესი მიზეზი შინაგან საქმეთა სამინისტროა.

უცხოეთის დეპეშები

მოსკოვი. ოპერატიული ცნობა.

ოქტომბრის 18. პოლოცკის რაიონში ჩვენი ჯარების სახელმწიფო-ბრივ საზღვრებისაკენ უკან დახევა გრძელდება. ჩვენ ხელახლა ავიღეთ პოლონეთის ჯარების მიერ დატოვებული მინსკი. სლუცკის აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლები გრძელდება. მტრის შემოტევის გამო ჩვენმა ნაწილებმა ახალ პოზიციებისაკენ დაიხიეს. პოლესიის რაიონში ჩვენი ჯარები აწარმოებენ ბრძოლას იერიშით გადმოსულ მტრის წინააღმდეგ. ჩვენი ნაწილები იძულებულნი იყვნენ ახალ პოზიციებისაკენ დაეხიათ. სარნის მიმართულებით მკაცრი ბრძოლის შემდეგ მოპირდაპირემ თავის პოზიციებისაკენ დაიხია. ჩვენ რამდენიმე პუნქტი დავიკავეთ. ნოვგოროდ-ვოლინსკის რაიონში უმნიშვნელო შეტაკებებია. ჩვენმა ნაწილებმა ნოვგოროდ-ვოლინსკის ჩრდილოეთით-დასავლეთით მდებარე რამდენიმე სოფელი აიღო. შეპეტოვის მიმართულებით სტერი 60 ვერსზე როგაჩევიდან ოსტოპოლამდე შემოტევას აწარმოებს. მკაცრი ბრძოლა გრძელდება. ლეტიჩევის რაიონში გრძელდება ცვალებადი ხასიათის ბრძოლები. ნოვოიუშიცის მიმართულებით ქალაქ ბარის რაიონში მკაცრი ბრძოლებია. ჩვენ დავიბრუნეთ ქალაქი ბარი და სადგური მიტკა. ალექსანდროვსკ-სინელნიკოვის რკინის გზის რაიონში ჩვენ ცეცხლით უკუ ვაგდეთ მოპირდაპირე, რომელიც სადგურ ივკოვკის წინააღმდეგ შეტევას სცდილობდა. ხერსონის რაიონში ჩვენ ქალაქი ლეშკო დავიკავეთ.

დენიკინის დაბრუნება.

გერმანული გაზეთები იუწყებიან: გენ. დენიკინი ბრუნდება ვრანგელთანო. ვეიგანი ბოლშევიკების წინააღმდეგ შეტევის გეგმით ვრანგელის ფრონტზე გაემგზავრა.

საფრანგეთი და რუსეთი.

„ჰუმანიტე“ იუწყება: საფრანგეთის მთავრობამ ვრანგელს ნიროზა მისცა, რომლის ძალით თუ ბოლშევიკურმა ჯარმა ვრანგელი მეტად შეავიწროვა საფრანგეთი მას დამხმარე ჯარებს გაუგზავნის.

ინგლისი და რუსეთი.

„ტაიმსი“ იუწყება: ინგლისის მთავრობა რუსეთის საკითხის მიმართ ახალ თვალსაზრისზე დადგა. ინგლისის ოფიციალური წრეები დარწმუნებულნი არიან რომ საბჭოთა რეჟიმი ანარქიის გამოსულ მოკლე ხანში დაემხობა. ამ შემთხვევაში რუსეთში რეაქციონური მთავრობა დამკვიდრდება. ინგლისის პრესტიჟს რუსეთი დიდ საფრთხეს უმზადებს. ინგლისმა ახლავე უნდა გადადგას სათანადო ნაბიჯები თავის გავლენის განსამტკიცებლად თუ თვით რუსეთში არა, ერთ-ერთ მის ყოფილ ნაწილში მაინც. ამისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგი არის უკრაინა, რომელიც დამოუკიდებელ ცხოვრებისაკენ ისწრაფვის.

მახნო

— კრაკოვიდან იუწყებიან მახნოს ახალი ღალატის შესახებ. მისი ცხენოსანთა რაზმები მცხოვრებთა დახმარების წყალობით ხარკოვს უახლოვდებიან. მახნოს პარტიზანებმა ნიკოლაევ—ზნამენკას რკინის გზის ხაზზე სად. დოლინსკაია აიღეს. წითელმა ჯარებმა ნიკოლაევი დასტოვა.

ნობელის პრემია

ლონდონი მიმდინარე წელს ნობელის პრემია ნორვეგიელ მწერალ კნუტ-ჰამსუნს მიუსაჯეს.

პეტროგრადში

პარიზი. „ტანი“ იუწყება: პეტროგრადის წითელი გაზეთის ოფიციალურ ცნობების მიხედვით ამ ჟამად პეტროგრადში ირიცხება 296.000 მამაკაცი და 410.000 ქალი. 1916 წ. კი მცხოვრებთა რიცხვი სამ მილიონს უდრიდა.

მინისტრები და პარტია გერმანიაში.

მეუმრავლესე სოციალისტების პარტიის მიტინგზე ხელახლად არჩეულმა ყოფილმა პრეზიდენტმა გერმან მიულერმა განაცხადა, რომ პარტიის კომიტეტის დადგენილებით არც ერთს მინისტრს არ შეუძლია კომიტეტის წევრობა.

ბალკანეთის ფედერაცია.

„მორნინგ პოსტის“ თანამშრომელს იოანესკუმ განუცხადა, რომ იგი თანაგრძნობით და ლტოლვით ბალკანეთის ფედერაციას, ამ ჟამად ამ ფედერაციის შექმნას იგი შეუძლებლად სთვლის. იოანესკო მომხრეა თავდაცვითი კავშირის, რომელშიც ბალკანეთის 5 ძლიერი სახელმწიფო შევა. იოანესკუს განცხადებით რუმინეთი ძმური სიყვარულით გადაჯაჭვულია საბერძნეთსა და სამხრეთ სლავიასთან.

არჩევნები ავსტრიაში.

ავსტრიის ეროვნულ კრების არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა ვენაში 4 ხმა დაჰკარგეს, ქრისტიანმა სოციალისტებმა ხუთი ხმა მიიღეს. პანგერმანისტებმა ერთი, ამბობენ რომ ეროვნულ კრებაში აუცილებლად აირჩევენ ჩერნინს, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრათ იყო. და საშუალო კლასთა ახალი პარტიის წარმომადგენელია.

საბერძნეთში.

ბერნიდან ჰავასში იუწყებიან: ყოფილი მეფე კონსტანტინე სცდილობს ისარგებლოს მდგომარეობით და საბერძნეთში დაბრუნდეს. შვეიცარიის მთავრობამ ზომები მიიღო, რომ ნება არ დართოს.

სლავიაში.

ვენიდან მოსული დეპეშის თანახმად ავსტრიის რწმუნებულს ბელგრადის საქმეებში პროტესტი განუცხადებია კარინტიის სამხედრო ოკუპაციის გამო. ტრუმბიჩმა უპასუხა: მხოლოდ ელჩთა კონფერენციას აქვს უფლება ამ საკითხის მოწესრიგებისაო და დაუმატა, რომ სამხრეთ სლავიის მთავრობამ კანონიერების საზღვარი არ უნდა დაარღვიოსო.

ლატვია.

ვარშავიდან მოსული დეპეშა აღნიშნავს პოლონეთ—ლატვიის ინციდენტს ლატიშების მიერ გაუფრთხილებლად სადგურ ეგელის დაკავების გამო.

სომხეთში.

ერევანი. ოქტ. 15 მთავრობამ გამოაქვეყნა კანონი რომლის ძალითაც სომხეთის მცხოვრებთ ედება სახელმწიფო თავდაცვის გადასახადი რომელიც 2 ნახ. მილიარდ მანეთს უდრის. ერევანზე 246 მილიონი მან. მოდის ალექსანდროპოლზე 120 მილიონი მანეთი. ყარსში-45 მილ. მანეთი.

ქრონიკა.

ე. გეგეჭკორი საფრანგეთის პრეზიდენტთან

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან.

თანახმად პარიზიდან მიღებულ დეპეშისა, ოქტომბრის პირველ რიცხვებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი მიუღია ელისეის სასახლეში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ხოლო შემდეგ საფრანგეთისავე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ლეიგს. ორივე აუდიენციას ჰქონია საქართველოსადმი დიდი სიმპატიისა და კეთილგანწყობილების ხასიათი.

ყაზახებთან შეტაკების გამო

გენ. ვრანგელის მუხანათურ თავდასხმის გამო შავი ზღვის ნაპირებზე სრულის საპასუხოთ, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, მთავრობის დადგენილების თანახმად აპატიმრებენ იმ მოქალაქეთ, რომლებიც გენ. ვრანგელის მიერ დაჭერილ ტერიტორიიდან ჩამოვიდნენ.

სახალხო გვარდიის ყრილობა

თბილისში ოქტომბრის 24 იხსნება სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა. პროგრამაში შემდეგი საკითხებია: 1 პოლიტიკური მომენტი. 2. მთავარი შტაბის მოხსენება თავის მოქმედების შესახებ. 3. მთავარ შტაბის განყოფილების მოხსენება, 4. სახალხო გვარდია, როგორც სამხედრო და სამეურნეო ორგანიზაცია, 5. დისციპლინა და სახალხო გვარდიის პასუხისმგებლობა. 6. სახალხო გვარდიის ძირითადი კანონების გადასინჯვა და შეცვლა, 7. სახალხო გვარდიის დებულებებში ცვლილების შეტანა 8. შტაბსა და ნაწილების უფროსებს შორის ურთიერთი დამოკიდებულება. 9. შტატების განხილვა, 10. ფორმა გამოსარჩევი ნიშანი და სხვა ნიშნები ომში გამოჩენისათვის. 11. მიმდინარე საკითხები. 12. მთავარ შტაბის წევრთა არჩევნები.

გერმანიის მისიაში.

გერმანიის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა გრ. დრიუფელმა ავსტრიის წითელი ჯვრის დელეგატ ექიმ ფორმანიკთან და გერმანიის სამხედრო ჰოსპიტლის მთავარ ექიმ მერტცვალტერთან ერთად ინახულა კათოლიკური სასაფლაო. სადაც დამარხულია 58 გერმანელი და ავსტრიელი ჯარის კაცი. მიღებულია ზომები სასაფლაოთა წესიერ მოსავლელად.

პატიმრების მუშაობა.

იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი ტუსაღთა სწავლა. განათლებისა და სამუშაოს მოწყობის შესახებ.

საერობო ერთეულების საკითხი.

ბორჩალოს სამაზრო ერობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით მიმართა სარაიონო ერობათა შემოღების შესახებ. შუამდგომლობა წვრილ საერობო ერთეულის შესახებ კანონის უქონლობით არის გამოწვეული. ამ შუამდგომლობის საპასუხოდ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბორჩალოს სამაზრო ერობას აცნობა, რომ ერობის დროებით წესდებაში გამორკვეულია უფლება და მოვალეობა წვრილ საერობო ერთეულების შესახებაცო. ერობათა კავშირის კომიტეტმა უკვე შეიმუშავა კანონ-პროექტი თვით ამის თვითმართველობის შესახებ, ეს კანონ პროექტი დაბეჭდილია ჟურნალ „ერობის“ მე 4 ნომერში. იგი ზოგიერთ ცვლილებით მიღებული იქნება დამფუძნებელ კრების მიერ და ამ რიგად შეიქმნება ერობათა ორგვარი ტიპი სამაზრო და თემისა. ასეთ პირობებში ერობის კიდევ ახალი ტიპის შექმნას მდგომარეობა არ მოითხოვს.

უკანასკნელი ცნობები

ე. გეგეჭკორი საფრანგეთის პრეზიდენტს მიუღია

—

ვრანგელის კრეისერის თავდასხმის საპასუხოდ საქართველოში აპატიმრებენ ყირიმიდან ჩამოსულთ.

—

დენიკინი ვრანგელთან ბრუნდება.

—

ინგლისი დამოუკიდებელ უკრაინის შექმნას ხელს უწყობს.

კომპოზიტორი დ. ი. არაყიშვილი სწერს მუსიკას შანშიაშვილის პიესა „ბერდო-ზმანიასათვის“. პიესა დაიდგმება ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

სვანეთის დელეგაცია.

17 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა სვანეთის დელეგაცია ბ. ეგნატე ქავბლიანის მეთაურობით. დელეგაციის მიზანია ინახულოს მთავრობის წევრები და აუხსნას მათ სვანეთის მდგომარეობა.

ქალაქის საბჭოში

ორშაბათს ოქტ. 18. ა. მდივნის თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა. სხდომის გახსნის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ რამდენიმე სიტყვით მოიხსენია პეტროგრადში ეხლახან გარდაცვალებული ქალაქის თავის ყოფილი ამხანაგი არგუთინსკი-დოლგორუკოვი. გარდაცვალებულს პატივი სცეს ფეხზე ადგომით.

შემდეგ საბჭომ დაადგინა განაახლოს იმ სახლის მეპატრონეებთან საიჯარო ხელშეკრულება, რომელთაც აშენებული აქვთ სახლები ქალაქის მიწაზე ნაძალადევში და საიჯარო ფასის 900 მან. გადიდებით, რაც ქალაქის შემოსავალს წელიწადში 2 მილიონი მან. გაადიდებს.

ქალაქის სასურსათო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა სასურ. განყ. გამგე კ. ა. ფანიევმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პურის ცუდი გამოცხობის მიზეზი უმთავრესათ იყო, ის, რომ მომარაგების სამინისტრომ შესწყვიტა კანადის და საგრეთვე საზღვარ გარეთის ხორბლის მოწოდება, რომელიც მათ უკვე აღარ აქვთ. გვაძლევენ ადგილობრივ ხორბალს და ცუდ ქერს, ამას გარდა თბილისის წისქვილები არ იყო მოწყობილი ამ დიდი რაოდენობის ფქვილის დასაფქვავათ. შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თვითმართველობამ ყოველივე ზომა მიიღო პურის გასაუმჯობესებლად და ხორბლის დაფქვაზე მეთვალყურეობა გაუმჯობესებულია, დასასრულ ფანიევმა აღნიშნა, რომ სურსათის საქმეში დეფექტები იყო რასაკვირველია, მაგრამ იგი გამოწვეული იყო იმ მძიმე მდგომარეობით, რომელშიც საბჭოს მუშაობა უხდება. ამ მოხსენების შესახებ კამათი და რეზოლიუციაზე თათბირი შემდეგ სხდომისათვის გადაიდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან

იუსტიციის სამინისტროში. ოქტ. 16 დამფ. კრების წევრის ს. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით შესდგა კანონების გადამსინჯავ კომისიის კრება. სხდომას დაესწრნენ: სხვა და სხვა სარწმუნოების და ეროვნულ საბჭოთა წარმომადგენლები. განიხილეს საკითხი ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ. კანონპროექტით წინდახედულია: 1) უზრუნველყოფა რესპუბლიკის მიერ რწმენის თავისუფლებისა და სარწმუნოებრივ ღმრთმსახურების თავისუფლად - წარმოებისა, პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებით სარგებლობა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის ესა თუ ის პირი, და არავინ არ შეიძლება იდევნებოდეს თავის რელიგიურ შეხედულებისათვის. 2) რესპუბლიკა არ მფარველობს და არ აძლევს ჯილდოსა და სუბსიდიას, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი, არც ერთი სარწმუნოების მსახურთ, და უკანასკნელთა უზრუნველყოფას და აგრეთვე სასულიერო დაწესებულებათ მორწმუნეთ ანდობს, 3) მართლმადიდებელ ეკლესიას, ისე, როგორც სხვას, ეძლევა უფლება თავისუფალი თვით მოწყობისა. 4) არც ერთ სასულიერო დაწესებულებას არ აქვს უფლება შეიძინოს უძრავი ქონება კერძო საკუთრებად, 5) უძრავი ქონება, რომელიც სასულიერო დაწესებულებათა ხელშია, სახელმწიფოს საკუთრებაში გადადის. 6) განათლების მინისტრს ევალება შეადგინოს სია საეკლესიო ქონებისა, რომელსაც აქვს ისტორიული და მხატვრული ღირებულება და რომელიც სახელმწიფოს პირდაპირ გამგებლობაში უნდა გადავიდეს. 7) არსდება რა თავისუფლება სარწმუნოებრივი პროპაგანდისა, რესპუბლიკა კრძალავს სასწავლებლებში საღმრთო რჯულის სწავლებას. 8) ცერემონიები, პროცესიები და კულტის სხვა გარეშე გამოხატულებანი წესრიგდება ქალაქთა და ერობათა თვითმართველობების მიერ. ამ პროექტის განხილვამ ცხარე კამათი გამოიწვია. კამათის გაგრძელება დაინიშნა შემდეგ სხდომისათვის, რომელიც ოთხშაბათს შესდგება.

უნავთობის გამო

(მთავრობის დადგენილებანი)

მიმდინარე წლის ოქტომბრის ოციდან საათის ისარი გადაიწიოს ერთი საათით წინ.

— ამავე რიცხვიდან სასტიკად აიკრძალოს გასართობ ადგილების (კაფე-რესტორანები, კლუბები, ბაღები, თეატრები და სხ.) განათება 11 საათის შემდეგ.

— ყველა იმ სადგურებს, რომელთაც აქვს ცალკე ქსელი ბინების გასანათებლად აიკრძალოს იმ ქსელით დენის მიწოდება შუაღამის შემდეგ.

— სრულიად აიკრძალოს ნავთის მოხმარება ფურნეების, ბინების ან სამზარეულოების გასათბობად.

— ჯავშნიან მატარებლების ორთქლმავლები დაქრობილ იქმნას და გახურდეს მხოლოდ აუცილებელ საჭიროების დროს.

— თბილისის ტრამვაის მოძრაობა არ იქმნას შეჩერებული. ტრამვაის მოძრაობის გასაგრძელებლად საჭირო სათბობი მასალის საკითხი გამოარკვიოს გზათა დეპარტამენტმა ქალაქის გამგეობასთან შეთანხმებით.

— ქვა-ნახშირის ხარჯის შესამცირებლად საორთქმავლო ბრიგადებისა და ძირითად დეპოს პერსონალისათვის შემოღებულ იქმნას განსაკუთრებული პრემია, რომლის რაოდენობა უნდა იყოს მთელი ჯამაგირიდან ნახევარი თვის ჯამაგირამდე პროფილის სიძნელისა და მუშაობის ხასიათის მიხედვით.

— პრემიის ზემოაღნიშნული წესით დასარიგებლად, რკინის გზებს სპეციალური ფონდიდან ყოველ თვიურად გადაიდოს და ანგარიშ ქვეშ მიეცეს გზების უფროსს 720.000 მანეთი.

გერმანელების გადმოსახლება საქართველოში.

მიწად-მოქმედების მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა მან ხელი შეუწყოს გერმანელ სპეციალისტთა გადმოსახლებას საქართველოში. ეს გადმოსახლება მიწადმოქმედების სამინისტროს ფრიად სასიამოვნოდ მიაჩნია, რადგან რესპუბლიკის სასოფლო-მეურნეობის განსავითარებლად მეტად საჭიროა მცოდნე და გამოცდილი პირები რომელთა რიცხვი ამ ჟამად ცოტა მოგვეპოვება. მოუხედავად მიწის სივიწროვისა გადმოსახლება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა კუთხეში. მხოლოდ მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის გარემოება, რომ გადმოსახლებულნი არ დასახლდენ კოლონიებად ერთს ჯგუფად, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის დასაწყისში ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ადგილას განსაკუთრებით თბილისის და ბორჩალოს მაზრებში.

გადმოსახლებულ სპეციალისტთა ცოდნა-გამოცდილება ფართედ უნდა იყოს გამოყენებული რესპუბლიკის ფარგლებში. ამის გამო ყველა გადმოსახლებული რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში პატარ-პატარა ნაწილებად უნდა იყვნენ ჩასახლებულნი საქართველოს მოქალაქეთა შორის. თვით არსებული საგადასახლებო ფონდის ხასიათიც ხელს შეუწყობს ასეთს ჩასახლებას, რადგან ეს ფონდი უმთავრესად პატარ-პატარა ნაკვეთებად არის განაწილებული უკვე დასახლებულ ადგილებში.

რუსთა და სომეხთა საბჭოთა გაერთიანება.

რუსთა ეროვნულმა საბჭომ სომხების ეროვნულ საბჭოს წარუდგინა მოხსენება საქართველოში არსებულ ყველა ეროვნულ საბჭოს გაერთიანების შესახებ. გაერთიანების საჭიროება დასაბუთებულია მით, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ კანონის მომავალ დამტკიცების შემდეგ დაიბადება აუცილებლობა ზოგიერთ საერთო კულტურულ განმანათლებელ საკითხების გადაჭრისა. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არსებული ეროვნული უმცირესობანი შეთანხმებულად იმოქმედებენ. დღიურ წესრიგში სდგას უმაღლესი განათლების საქმე. საჭიროა მუშაობა მცხოვრებთა უმცირესობის თვითმოქმედების გასაძლიერებლად ერობებისა და კოოპერატივების საშუალებით. რუსთა ეროვნულ საბჭოს წინადადება განიხილა სომეხთა ეროვნულმა საბჭომ და პრინციპიალურად მიიღო იგი. აირჩიეს ორი წარმომადგენელი, რომლებიც დანარჩენ საბჭოების წარმომადგენელთან ერთად განიხილავენ ეროვნულ უმცირესობათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად მომავალ სასწავლებლის ტიპის საკითხს.

გორის აღდგენის საკითხი.

3 ოქტ. ქ. გორში გაიმართა საგანგებო თათბირი ფინანსიურ ღონისძიებათა გამოსანახად გორის მაზრის აღდგენისათვის.

თათბირში მონაწილეობდნენ გორის სამაზრო ერობის თავმჯდომარე მ. კლიმიაშვილი, მთ. დახმარების კომიტეტის წევრები და სამაზრო საერობო თვითმართველობის წევრები. თათბირის თავმჯდ. ბ. კლიმიაშვილმა კრებას თავის შესავალ სიტყვაში გააცნო მიწისძვრისგან დაზარალებულ ადგილების მდგომარეობა: მაზრა ქალაქზე ნაკლებ არ დაზარალებულა. დღემდის გამოურკვეველია, სახელდობრ რანაირი საშუალებით შეიძლება დაზარალებულ ადგილების აღდგენა. სოფელს არა აქვს საჭირო ხე-ტყე, მასალა, ხოლო სოფლად ბლომად თავმოყრილ ბონებს კი რეალური ღირებულება არა აქვთ. სოფელი არც ფიზიკური ძალებით არის მდიდარი, რადგან გლეხკაცობა მსოფლიო ომიდან ახლახანს დაბრუნდა. ამის გამო სოფელს სჭირდება დახმარება გარედან. თავმჯდომარე აცნობებს კრებას, რომ მაზრის აღსადგენად ხაზინიდან არის მიღებული 40 მილ. მან. და არავითარი ღონისძიებანი და პროექტები ამ ფონდის გასაძლიერებლად არ არის წარმოდგენილი მას წინადადება შემოაქვს, რათა მთავრობამ დააწესოს სპეციალური გადასახადი გორის მაზრის დასახმარებლად.

საჭიროა აგრეთვე შემოღება საზოგადო—სავალდებულო მუშაობისა.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ ბ. სისოევი და იანოვიჩი, თათბირმა შემდეგი დაადგინა:

1) მიწისძვრისაგან დაზარალებული მაზრა უხათუოდ ჰსაჭიროებს დახმარებას;

2) სახელმწიფო მას უნდა დაეხმაროს—სესხით და ბორჯომის ტყიდან ხე-ტყის გაცემით;

3) მოსახლეობისთვის სესხის გაცემას ბონებით მნიშვნელობა არა აქვს, უფრო საჭიროა ხე-ტყის მიცემა სესხით;

4) თვითონ მოსახლეობა უნდა იქმნეს მიწოდებული საერთო სამუშაოსკენ და ეს შრომა უნდა მოეწყოს.

5) აგრეთვე უნდა შესდგეს საამშენებლო და სხვა საწარმოვო არტელები;

6) უნდა მოეწყოს ხე-ტყის, გაჯის, კირის და სხ. მასალის მიწოდების საქმე.

თათბირმა მთავარი ყურადღება მიაქცია ბორჯომის მამულიდან მასალის მიცემას. ამ საშუალებას შეუძლიან მაზრას უდიდესი დახმარება გაუწიოს. ამასთანავე ერთხმად იქნა ნაჩვენები, რათა საამისო ნებართვა მალე გამოიცეს, რომ დამდეგ საამშენებლო პერიოდში ხალხი აღდგენის მუშაობაზე ჩაება. (პ.).

რუსეთის მდგომარეობა

მცოდნე და გამოცდილმა ინგლისმა თავის თავზე მიიღო შუამავლობა მოჩხუბარ ერებისა-პოლშა—ვრანგელისა და საბჭოთა რუსეთისა; მისცა მათ წინადადება შესწყვიტონ ომი წარდგენილ პირობების თანახმად.

ჩვენ ინგლისს ვერ ვუსაყვედურებთ გამოუცდელობა—უცოდინარობას, მაგრამ შეუძლებელის შესრულებას მაინც ვერავინ შესძლებს.

ვსთქვათ მეომრებმა—პოლშამ, ვრანგელმა და საბჭოთა რუსეთმა ურთიერთ შორის ომი შესწყვიტეს, განა ამით ეშველება რამე საქმეს? სრულებითაც არა. საბჭოთა რუსეთს მტერთანა აქვს საქმე, რომლის მორევა მას არ შეუძლიან, თუ მთლად ევროპის სახელმწიფოები არ დაეხმარებიან. ეს მტერი არის **შიმშილი.**

მშვიდობიანობის დროს რუსეთს მთელი ქვეყნის მეექვსედი ნაწილი ეჭირა. ეს უზარმაზარი ქვეყანა დაინგრა და უპატრონოდ დარჩა. ყველა იმას ცდილობს ამ ქვეყნის ბატონ—პატრონობა როგორმე ხელში ჩაიგდოს, ერთი მეორეს ეცილება რომანოვიანთ სავარძელს, სხვადასხვა მონოგრამებით გამოდიან, იმხრობენ ხალხს და მამასშვილს აკვლევინებენ, ძმას ძმასა. სამი წელიწადი ამ სისხლის ღვრაშია უპატრონო რუსეთი და ჯერ იმის ნიშნები არა სჩანს, რომ კიდევ უფრო მეტი სისხლი არ დაიღვრება!

ოხრად დარჩენილი რუსეთის ტახტის დასაპატრონებლად ყველაზედ მეტი მოხერხება ლენინმა გამოიჩინა. ის ჩაუდგა სათავეში უადგილოდ დარჩენილთ, ლუკმა პურის მაძებართ უდიდეს ქარხნებს გარეთ დარჩენილს მუშათა ჯგუფს; ამ მძლავრს ჯგუფს მიემატა ციხეებიდამ გამოსული ტუსაღთა არმიები—ქურდნი, ყაჩაღნი, კაცის მკვლელნი, კატორღელნი. ამათ გარდა რამდენი უსაქმური და ოხრად მოხეტიალე კიდევ სხვა მოიპოვებოდა უზარმაზარ რუსეთის იმპერიაში და რა თქმა უნდა ამათაც „ამხანაგებს“ მიაშურეს.

ამ უსაქმურთა და სრულებით არაფრის მქონებელთ, რომელთაც ლუკმა პური არ მოეპოვებოდა და რომელთა რიცხვი მილიონებით ითვლება, ჩაუდგა სათავეში ლენინი „ამხანაგის“ სახელით და მარჯვე საშუალებაზედ მიუთითა: „ვისაც აქვს წაართვით.“ შიმშილის დროს „ამხანაგი“ ლენინი თავის ამხანაგებს „მხსნელად მოევლინა“ და მისი სიტყვები სასწაულებრივ გავლენას ახდენენ დღემდინ „ამხანაგებზედ“. ვისაც რამე ჰქონდა წაართვეს, მთელი რუსეთი მოტვლიპეს, მცხოვრებელი ხალხიც გაადატაკეს, ყველა სულის ღაფვას შეცა და უზარმაზარს რუსეთს ლუკმა პურის შოვნა სანატრელად და საძებნელად გაუხდა. რუსეთი შიმშილის უდაბნოდ გადაიქცა და ამ უდაბნოდამ მშიერი ხალხი აქეთ-იქით აღელვებულ ზღვასავით აწყდება და ნაპირებიდგან ვარდება. ამისთანა პირობებში მყოფი მშიერი ხალხი განა შეუძლიან რომელიმე სახელმწიფოს წინადადებამ შეაყენოს—ომი შესწყვიტეთო! რასაკვირველია, არა.

ომი შეუძლიანთ შესწყვიტონ „თეთრებთან“ „მწვანეებთან“ და ყველაფერის მეომრებთან, შიმშილის შავ მტერთან კი არც შერიგება შეუძლიანთ და არც მისი მორევა.

აი, ინგლისმა და სხვა სახელმწიფოებმა ამას უნდა მიაქციონ ყურადღება და შეარიგონ „შავს“ მტერს. წინააღმდეგს შემთხვევაში რუსეთის დაწყნარება ყოვლად შეუძლებელია.

რასაკვირველია, ას ნახევარ მილიონიან რუსეთის მშიერი ხალხის კვება დ

შეძახვა მუდმივად სხვა სახელმწიფოებს არ შეუძლიათ, მაგრამ შეიძლება მიიღონ ი ა ი ზომები, რომ რუსეთი დროებით კალა ატში ჩააყენონ.

რასაკვირველია, ამ დამშეულ მხარეს დაკმაყოფილებაც უნდა. ეს მოხდება სესხის სახით დახმარება პირველ წელში, როგორც გამოსაკვებად, აგრეთვე სათესლედ.

ერთი ამ საქით შეუძლიათ დაამშვიდონ მძლავრმა სახელმწიფოებმა რუსეთი და მეორე—შეუკრან ზღუდე და შეერთებულის ძალებით რუსეთის საზღვრებიდამ აღარ მისცენ გამოსვლის საშუალებას, ეს უკანასკნელი ზომა, რა თქმა უნდა, დაუშვებელია და ისიც ეჭვს გარეშეა, მშიერი რუსეთისთვის წინადადება—შესწყვიტეთ ღმით კედელზედ ცერცვის შეყრაა და მშიერი ძალები იქით გაიწევენ, სადაც გაძღომის იმედი ექნებათ.

„ან გაძღომა, ან სიკვდილი“—ეს ლა დარჩენია რუსეთს და ეხეთქება აქეთ იქით, რომ გაარღვიოს ზღუდე ჯოჯოხეთისა და გავიდეს გარეთ სხვათა ქონების შესაჭმელად, ამას კი უფრო მეტი მსხვერპლი და ზარალი მოჰყვება.

ს. შადური.

წერილი რედაქტორის მიმართ

ქარელის თემის სასურსათო ნაწილის გამგეს.

სიმართლე გითხრათ, არ მესიამოვნება პასუხი გავცე ისეთ ცრუკაცს, როგორიც ყოფილა ვიღაც მეიერა მაღალაშვილი, ვინაიდან რა გარანტიაა, რომ შემდეგ უფრო მეტ ტყუილს არ იტყვის, ცილს არ დამწამებს და ჩირქს არ მომცხებს, მაგრამ თუ იძულებით ვწერ ამ პასუხს, მხოლოდ იმიტომ, რომ პატივს ვცემ იმ თანამდებობას, რომელიც უჭირავს ზემო ხსენებულს პირს.

ეს ვაჟბატონი ქარელის თემის სასურსათო ნაწილის გამგეა, სურსათის საკითხი კი თუ რა მწვავეთ სდგას დღეს ჩვენი რესპუბლიკის წინაშე ეს ყველამ მოამაკვდავმა იცის მხოლოდ საჭიროა მმართველმა პარტიამ ერთხელ კიდევ გაიგოს თუ რა აგენტები ჰყავთ პროვინციებში მეიერა მაღალაშვილების სახით.

თვეზე მეტია რაც გაზეთ „კლდეში“ ვწერდი მომარაგების სამინისტროს საყურადღებოთ წერილს, რომელშიაც სხვათა შორის, ვაკვრით, ქარელის თემის თავმჯდომარის ალექსიძის უტაქტო საქციელი და მეიერა მაღალაშვილის ცუდი ვაჭრული თვისებაც აღვნიშნე.

მეიერა მაღალაშვილს ერთ თვეზე მეტი უფიქრნია და ბოლოს სიცრუით სავსე წერილი შეუჩმახავს, რომელიც „ერთობის“ 236 ნომერში მოუთავსებია. გაზეთ „ერთობა“-ში რომ მიპასუხებს იგი, ეს გასაგებია რადგან ყველა წვრილფეხა აგენტი დღეს უსათუოდ „სოციალ-დემოკრატია“ ხოლო რას სწერს და რას მიპასუხებს? ვითომ ძალით ანგარიშზე ზედ მეტი ფული წავიღე, ტომრების წონას არ გამოვედი და საცემრადაც ვიწიე. გარდა ამისა თურმე „თავადიშვილური“ კილოთი მიბრძანებია ჩემს მეურმეს აჩუქე რამეო. მეიერა მაღალაშვილი იმასაც სწერს, რომ მან მე პატივი მცა და შებინდების მიიწონა ჩემგან ჭინახული. როდესაც პირობა გვქონდა დღისით მიმეტანა.

დავიწყოთ ამ უკანასკნელი სიცრუიდან. მე არ შემეძლო მეთქვა დღისით გამოვიტან მეთქი. როდესაც თერთმეტი საათი. იყო რომ ქარელში ვიყავი. უნდა ქარელიდან არადეთში (5—6 ვერსითაა მოშორებული) გავსულიყავი, ათი ტომარა ქერი ამევსებინა და ურმით გამომეტანინებინა. ურემი ხომ სოციალ დემოკრატების ავტომობილი არ არის რომ თვალის დახამხამებაზე გაეარა ექვსი ვერსი. თანაც ბორანზე გადასვლა ურმისა, სადაც ზოგი საქონელი არა სდგება და დიდხანს სჭირდება დავიდარაბა. მე წინდა წინ გითხარით რომ საღამოზე ადრე ერ მოვიტან, რაზედაც ... თამთანხმდით, ბ-ნო მაღალაშვილო, და ... თ: „მაშ კარგი, ყიფიანების დისწული გოგია მიიწონავსო“ და ჩემი მოსაცემი ფულიც იმას გადაეცით. ეს ხომ ასე იყო და რათა სტყუით?!

ახლა წონის შესახებ. თქვენ, ალბათ, განგებ სწონიდით თითო თითო ტომარას, რომ ყოველ აწონაზე 5—10 გირვანქა გადაგეყოლებიათ, რითაც ათ ტომარაზე ორ ფუთზე მეტი დაგრჩებოდათ. შეგეძლოთ კი 5 ტომარა ერთად აგეწონათ თუ რიგიან სასწორს დადგამდით.

როდესაც გეტყოდით: დაუდეთ კიდევ „გირა;“ მეტია ქერი მეთქი თქვენ ამაზე მიპასუხებდით: ნახევარ გირვანქა ან გირვანქა რაღა დასადებია, ჩაის ხომ არა ვწონითო. როგორ თუ რა დასადებია გირვანქა, გირვანქა ხომ ათ გირვანქასა სწონის მეთქი? თქვენ მაინც თქვენსას განაგრძობდით და მეც აღარას გეუბნებოდით.

ანგარიშის გასწორების დროს ტომრების წონა გამოვედით ნახევარი ფუთი და დარჩა ხალასი ოცმოცი ფუთი და 28 გირვანქა. თქვენ 28 გირვანქისა აღარ გინდოდათ, ბ-ნო მეიერო მოცემა. 28 გირვანქას ან თაგვი შეჭამს ან დაიბნევა საწყობშიო. საწყობში რაც დაიბნევა ეგ ჩემი გადასახადი არ არის და არც უნდა დააბნიოთ ხოლო, რაც გზაში ურემზე ქერი დაიპნა იმას თქვენ ვერ გიანგარიშებთ თუმცა თქვენი მოცემული დახეული ტომრების ბრალია მეთქი.

„მაშ ოცი გირვანქისას მოგცემთ და 8 გირვანქა მოვსპოთო“. მელიქინებოდით და მეწვრიმალურათ მევაჭრებოდით.

თქვენმა ასეთმა საქციელმა მოთმინებიდან გამომიყვანა, ბ-ნო მეიერო, და გაბრაზებული კილოთი გითხარით: მე რომ ამას მიშვრებით, საწყალ გლეხს რაღას უზამთ რომელმაც წონა და ანგარიში არ იცის მეთქი.

ამ სიტყვაზე ვიღაც რკინის გზელი ქუდ გვერდზე მოგდებული ავარა, შეიქოჩა და ხმა მაღლა ყვირილი დაიწყო: შენ თავადიშვილი იქნები რომ გლეხი კაცი რეგვენად გამოგყავსო. ქარელის თემის თავმჯდომარე ალექსიძეს (ეს კუდა აზნაური ალბათ „სოციალისტი“ იქნება) იმის მაგივრათ რომ აეხსნა გლეხების ვითომდა დამკვეთ რკინისგზელისთვის აზრის გაუგებრობა და დაეჩუმებინა, მე მიკადრებს უადგილო შენიშვნას.

შემდეგ მეურმის შესახებ, ბ-ნო მაღალაშვილო, სწერთ: თავადური კილოთი მიბრძანა მეურმეს აჩუქე რამეო.

აჩუქეთ კი არა, თქვენ როდესაც ებრაელებს აძლიეთ თითო ტომარის გადმოსაღები თითო თუმანი და არ გადმოიღეს მაშინ გითხარით თითო თუმანათ თითონ ეგ ჩემი მეურმე გადმოიღებს მეთქი. მართლაც გადმოიღო და ბოლოს ათი თუმნის მაგივრათ ხუთი თუმანი ლამიეცით. ესეც მეწყინა და ამ არა საკადრის საქციელზედაც მიგითითეთ.

რაც შეეხება „თავადურ კილოს“ უნდა მოგახსენოთ რომ ასეთი „თავადური“ კილოთი თქვენთან კი არა ოდესის გენერალ-გუბერნატორ ტოლმაჩოვთან ვლაპარაკობდი ძველ რეჟიმის დროს რომ ციხეში ვიჯექი. თქვენ კი მონური ფსიხიკა დღესაც, თავისუფალ საქართველოშიაც კი ვერ მოგიშორებიათ, როდესაც თავ მოკატუნებული, მამა აბრაამის ბატკანივით „საშვილი და წყნარი“ სწერთ, რომ საცემრათ იწია ჩემზეო.

თქვენ სტყუით, უსირცხოთ სცრუობთ როდესაც ამას ამბობთ.

დასასრულ გეტყვით: აშკარათ სცრუობთ იქაც, სადაც სწერთ ვითომ მეთქვას რომ „ურია ხარ, ვინ გაიგონა ურია ერობის რწმუნებულათ იყოსო“. ტყუილად გგონიათ რომ ყველა ებრაელებზე ისეთი აზრისა ვიყვეთ როგორც თქვენზე, მე ვიცი და ღრმად ვარ დარწმუნებული რომ ძალიან ბევრი ებრაელი ზრდილობიანი და პატიოსანი მუშაკია. რაც შეეხება მთელს ნაციას, მე არასდროს თავს ნებას არ მივცემ შეურაცყოფა მივაყენო მით უმეტეს, როდესაც თქვენზე უკეთ გვაქვს გათვალისწინებული დაჩაგრული ერის ბედი.

პასუხი გამიგრძელდა და ამით ვათავებ.

მ. იმხნელი.

ღია წერილი

ბ. ისიდორე იოსავას

ფსიხოლოგია ბ. გრ. კონიაშვილისა კარგად მაქვს შესწავლილი. მე დარწმუნებული ვიყავი, თუ უჩივლებდი მას, რომ მე მან არ მომცა გაკვეთილები, როგორც მღვდელს და ამისა გამო მას პასუხს მოსთხოვდნენ,—ის ასეთ მის მიზეზს უარისყოფისას და რამე სხვა მიზეზს წამოაყენებდა. ამ მხრით ფრონტის გასამაგრებლად მე მიგზავნეთ თქვენ თავის დროზედ ბ. კონიაშვილთან—გამოგეკით ხათ მისთვის, თუ რა მიზეზით არ მომცა მე მან შარშან გაკვეთილები და, როგორც ვიცი, მისგან სწორი და გარკვეული პასუხი მიიღეთ.

ვინაიდან ჩემი აზრი გამართლდა და ბ. კონიაშვილმა ოფიციალურად სულ სხვა მიზეზი დაასახა თავის გასამართლებლად, გთხოვთ აუწყოთ პრესას მისი პასუხი თქვენ შეკითხვაზე ამ საქმის გამო.

სრული იმედი მაქვს, რომ თქვენ, მიუდრეკელად იტყვით იმას, რაც ამ საგანზედ ბ. კონიაშვილისაგან მოისმინეთ.

დეკ. ი. ქავჟარაძე

—

ღია წერილი ბ. პართენ გოთუას

მე გთხოვეთ თქვენ შეჰკითხოდით ბ. კონიაშვილს რა აზრის იყო ის ჩემ სანიმუშო გაკვეთილების ... და რა მიზეზით არ მომცა გაკვეთილები.

თქვენ მე თხოვნა შემისრულეთ და კონიაშვილისაგან სწორი ... პასუხი მიიღეთ და მე ...

ვინაიდგან ბ. კონიაშვილი იმართლებს თავს თავისი ოფიციალური ახსნაში მით, რომ მე სანიმუშო გაკვეთილი ვერ მივეცი, გთხოვთ გამოაქვეყნოთ პრესის საშუალებით დაწვრილებით ბატონი კონიაშვილის პასუხი თქვენ შეკითხვაზედ ამ საქმის გამო.

სრული იმედი მაქვს, რომ თქვენ მიუდრეკელად და სისწორით იტყვით მას, რაც ამ საგანზედ ბ. კონიაშვილისაგან მოისმინეთ.

დეკ. ი. ქავჟარაძე.

რედაქტორი: გრ. ვეშაპელი
სამხ. სამ. სტამბა, ლორის-მელიქ., 3

მატარებლების მიმოსვლა

ოქტომბრის 10-დან 1920 წ.

თბილისიდან გადის

ბათუმამდის	№ 3	10. ს. 58 წ. დილ.
ბათუმში ჩადის		7 ს. 27 წ. დილ.
ფოთამდის	№ 9	5. ს. 34 წ. დილით.
ფოთში ჩადის		10 ს. 45 წ. დილ.
ბათუმამდის ჩქარი	№ 7	10. ს. 28 წ. საღ.
ბათუმში ჩადის		5 ს. 52 წ. საღ.
ბორჯომამდის	№ 19	3. ს. 19 წ. დღ.
ბორჯომში ჩადის		11 ს. 25 წ. დღ.
სალ-ოღლამდის		7 ს. 20 წ. დილ.
სანაინამდის	№ 4	8. დილ.
სანაინში ჩადის		5 ს. საღ.
კახეთისკენ		8 ს. 30 წ. დილ.

თბილისში მოდის

ფოთიდან	№ 10	3. ს. 51 წ.
თბილისში მოდის		9 ს. 16 წ. დღ.
ბათუმიდან	№ 4	4. ს. 9 წ. დილ.
თბილისში მოდის		1 ს. 1 წ. დღ.
ბათუმიდან	№ 8	11 ს. 37 წ. ღამ.
თბილისში მოდის		7 ს. 36 წ. ღამ.
ბორჯომიდან	№ 20	12 ს. 22 წ. ღამ.
თბილისში მოდის		7. ს. 47 წ. დილ.
სალ-ოღლიდან		12 ს. 10 წ. დილ.
სანაინიდან	№ 4	7 ს. 30 წ. დილ.
თბილისში მოდ.		3 ს. 20 წ. დღ.
კახეთიდან თბილისში მოდ.		8 ს. 20 წ. ს.

შენიშვნა: მატარებელს № 7 თბილისიდან მიჰყვება სამი ვაგონი პირდაპირ ქუთაისამდის; აქეთ კი მატარებელს № 8 მოჰყვება ერთი ვაგონი მეხუთე (I—II კლ.) და ორი ვაგონი III კლასისა.

თბილისსა და ბათუმ-ფოთ შორის მატარებლები დადიან 18—20 საათის განმავლობაში.

ბათუმის მატარებლები № 7—8 დროებით არ დადის.

გლეხთა საყურადღებოდ

დამფუძნებელი კრების.

ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი სათანადო დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მცხოვრებთ გლეხებს ყოველგვარ საერთო—სასოფლო—საჭიროებათა (ადგილ მამულის, სურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების), ეროვნულ დასაკმაყოფილებლად სათანადო დაწესებულებათა მიერ.

ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა მასალა მიიღება თბილისში: „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. № 5